საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ, №1, მუხ.10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 206^4, 206^5, და 206^6 მუხლები:

„მუხლი 206^4. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, თუ ეს ქმედობა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ, –

ისჯება თანამდებობიდან დათხოვნით ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

მუხლი 206^5. შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა

ისჯება თანამდებობიდან დათხოვნით ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

მუხლი 206^6. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემების გახმაურება

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება –

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ“.

II. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. II) 126-ე მუხლის მე-3 ნაწილს ციფრის „206^3“ შემდეგ დაემატოს ციფრები „206^4, 206^5, 206^6.

III. 1964 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 173^3 მუხლი:

„მუხლი 173^3. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით“;

2. 208-ე მუხლში ციფრის „173^2“ შემდეგ დაემატოს ციფრი „173^3“;

3. 239-ე მუხლს ბოლოდან მე-5 ნაწილად დაემატოს:

„ამ კოდექსის 173^3 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე“.

IV. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილში ციფრის „170“-ე შემდეგ დაემატოს ციფრი „173^3“.

V. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.